აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა  ფაკულტეტი

# დამატებითი (minor) პროგრამა

# ჟურნალისტიკა

ქუთაისი

2011

**პროგრამის დასახელება:** ჟურნალისტიკა (minor)
**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 60 ECTS კრედიტი
**სწავლების ენა:** ქართული
**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებს შეასწავლოს ჟურნალისტიკა, როგორც გამოყენებითი დარგი. სტუდენტები დაეუფლებიან ინფორმაციულ და ანალიტიკურ ჟანრებს, შეიწავლიან რადიო და ტელეჟურნალისტიკის სპეციფიკას, შეეძლებათ გამართული წერა და მეტყველება, დაეფლებიან პროფესიული ეთიკის საფუძვლებს.
**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი.
**სწავლის შედეგი:**
**ცოდნა და გაცნობიერება**
კურსდამთავრებულმა იცის ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდეციები; აქვს ცოდნა ერთიანი მედიასისტემის შემდგენელი ნაწილების შესახებ; იცნობს დარგის კვლევის ელემენტარულ მეთოდებს და შეუძლია ინფორმაციული მონაცემების დამუშავება; განსაზღვრავს ჟურნალისტიკის ძირითად ცნებებს.
**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**
კურსდამთავრებულს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, საქმიანობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა; ჟურნალისტური ტექსტის შექმნა სხვადასხვა სისტემისთვის; ფაქტთა შორის კავშირების დადგენა; პროფესიული საქმიანობის დროს იყენებს კომპიუტერულ და პროფესიულ ტექნიკას.
**დასკვნის უნარი**
შეუძლია მასალის ძირითადი აზრის გაგება და მოკლე შინაარსის დაუმახინჯებლად გადმოცემა; კრიტიკულად იაზრებს მოცემულ ინფორმაციებს; აანალიზებს კონკრეტულ მონაცემებს და აკეთებს ადეკვატურ დასკვნებს; აქვს არგუმენტირებული აზრის გამოთქმისა და განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინების უნარი.
**კომუნიკაციის უნარი**
შეუძლია გამართული მეტყველება და წერა, საკუთარი და სხვისი აზრის მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით; აქვს აქტიური მოსმენის უნარი; შეუძლია დისკუსიებში მონაწილეობის მიღება, აზრის სწორად ჩამოყალიბება და საკუთარი პოზიციის დაცვა; სოციუმში არსებული პრობლემების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება.
**სწავლის უნარი**
შეუძლია საკუთარი დროის ოპტიმალური განაწილება; პრიორიტეტების დამოუკიდებლად დასახვა და გეგმის თანმიმდევრული მიყოლა; აქვს ლიტერატურაზე მუშაობის ჩვევები; შეუძლია სასწავლო პროცესის კრიტიკული ანალიზი და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა.
**ღირებულებები**
იჩენს ობიექტურობასა და პრინციპულობას; იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს; ხელმძღვანელობს ჰუმანიზმის პრინციპებით; იბრძვის დემოკრატული ფასეულობების დაცვისათვის.
**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**
საკონტაქტო: პასიური და აქტიური (სალექციო ფორმით)
ინტერაქტიური (სამუშაო ჯგუფში მუშაობა);
სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა;

სწავლების პროცესში გამოიყენება:

**ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:**

სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

**წიგნზე მუშაობის მეთოდი:**

დამოუკიდებლი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

**წერითი მუშაობის მეთოდი:**

ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება;

**ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

**ევრისტიკული მეთოდი:**

სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივი გადაწყვეტა, ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით განხორციელება.

**ინდუქცის, დედუქცის, ანალიზის მეთოდი:**

- სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ, ანუ კონკრეტულიდან ზოგადისაკენ(ინდუქციური მეთოდი);
- ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესი, ანუ პროცესი ზოგადიდან კონკრეტულისაკენ(დედუქციური მეთოდი);
- სასწავლო მასალის, როგორც ერთიანი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლა, რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება (ანალიზის მეთოდი);

**შემთხვევის ანალიზი (Case study):**

კონკრეტული შემთხვევის განხილვა, საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა.

**დისკუსია/დებატები** –დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში.ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა:**

- სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და სასწავლო დავალების მიცემა;
- საკითხის ინდივიდუალურად დამუშავება და პარალელურად ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის გაზიარება;
- სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილების სტრატეგია.

(დაწვრილებით იხ.სილაბუსებში )

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
   ა) შუალედურ შეფასებას;
   ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:** უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

პროგრამას განახორციელებს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი.

# სასწავლო გეგმა

| № | კურსი | სკ | ლ./ჯგ.მუშ./დამ. მუშ. | კრედი -ტთა რაოდე ნობა | სემესტრები | | | | | | | | წინაპირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | |
| 1 | ჟურნალისტიკის საფუძვლები | 3 | 30.15.80 | 5 | | | 5 | | | | | | |
| 2 | სტილისტიკა | 3 | 30.15.80 | 5 | | | 5 | | | | | | |
| 3 | სტრატეგიული წერა | 3 | 30.15.80 | 5 | | | | 5 | | | | | |
| 4 | ინფორმაციული ჟურნალისტიკა | 3 | 30.15.80 | 5 | | | | 5 | | | | | |
| 5 | ანალიტიკური ჟურნალსიტიკა | 3 | 30.15.80 | 5 | | | | | 5 | | | | |
| 6 | რადიოჟურნალისტიკა | 3 | 30.15.80 | 5 | | | | | 5 | | | | |
| 7 | ტელეჟურნალისტიკა | 3 | 30.15.80 | 5 | | | | | | 5 | | | |
| 8 | რედაქტირება | 3 | 30.15.80 | 5 | | | | | | 5 | | | |
| 9 | ბავშვთა საკითხების გაშუქება | 3 | 30.15.80 | 5 | | | | | | | 5 | | |
| 10 | დებატები | 3 | 30.15.80 | 5 | | | | | | | 5 | | |
| 11 | რეკლამა | 3 | 30.15.80 | 5 | | | | | | | | 5 | |
| 12 | პროფესიული ეთიკა | 3 | 30.15.80 | 5 | | | | | | | | 5 | |
| | სულ | | 360;180;960 | 60 | | | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | |

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/ჯგ.მუშ/დამ.მუშ. - ლექცია/ჯგუფში მუშაობა/დამოუკიდებელი მუშაობა.

5 კრედიტი 125 საათი.